საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები
2021 წელი

01.03.2022
www.geostat.ge

01.03.2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები
(2021 წელი)

2021 წლის ბოლოსთვის, საქართველოში ფუნქციონირებდა 94 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის 42 საჯარო, ხოლო 52 კერძო.

2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 11 204 სტუდენტი ჩაირიცხა, რომელთაგან 48.9 % ქალია, ხოლო 51.1 % - კაცი. 2020 წელთან შედარებით სტუდენტების მიღების მაჩვენებელი გაზრდილია 19.2 %-ით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჩარიცხული სტუდენტების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2021 წელს.

დიაგრამა №1

ჩარიცხული სტუდენტების განაწილება პროგრამების მიხედვით, 2021 წელს



რეგიონების მიხედვით, ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობით ლიდერობს ქ. თბილისი (38.3 %), რომელსაც მოსდევს აჭარა (15.2 %), სამერელო-ზემო სვანეთი (11.0 %), იმერეთი (9.9 %), კახეთი (6.3%) და შიდა ქართლი (5.9 %).

2021 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 200 სტუდენტი ჩაირიცხა, რომელთაგან 38.5% ქალია, ხოლო 61.5% კაცი. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა ქ. თბილისში (46.5%), კახეთში (14.0 %) და იმერეთში (9.5%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2021 წელს.

დიაგრამა №2

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ჩარიცხული სტუდენტების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2021 წელს



01.03.2022

2021 წელს, კურსდამთავრებულთა რიცხოვნობამ 6 775 სტუდენტი შეადგინა, რომელთაგან 49.8% ქალია, ხოლო 50.2% კაცი. კურსდამთავრებულთა უმეტესობა მოდის ინჟინერია, წარმოება და მშენებლობის (23.6%), ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართლის (17.9%), ჯანდაცვის და სოციალური კეთილდღეობის (15.2%) პროგრამებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2021 წელს.

დიაგრამა №3

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ჩარიცხული სტუდენტების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2021 წელს



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge